

Geo დარიჯესტი

№9 / სექტემბერი, 2021 წ.



სარჩევი

ევროპარლამენტმა ევროკავშირისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ დოკუმენტი მიიღო.....	3
რუსეთის სამხედრო ინტერვენციები.....	6
დამაბულობა ტაივანის ირგვლივ.....	8
თურქეთის იუსტიციის მინისტრის ვიზიტი საქართველოში.....	10
კომპანია ENKA-ს გადაწყვეტილება საქართველოსთან „ნამახვანჰესის“ მშენებლობის კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე.....	11
საქართველო ინტერნეტის თავისუფლების შესახებ FREEDOM HOUSE-ის 2021 წლის ანგარიშში	12

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისის“ ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

ევროპარლამენტმა ევროკავშირისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ დოკუმენტი მიიღო



<https://www.euractiv.com/section/eu-elections-2019/news/six-different-scenarios-for-european-parliament-alliances/>

2021 წლის 16 სექტემბერს ევროპარლამენტმა ევროკავშირისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ დოკუმენტი მიიღო.

ევროკავშირი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას კვლავ მტკიცედ უჭერს მხარს. ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთთან ურთიერთობები ჩვეულ რეჟიმში ვერ განხორციელდება, სანამ კრემლი არ შეწყვეტს მის აგრესიულ პოლიტიკასა და ჰიბრიდულ ომს ევროკავშირის, მისი წევრების, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სახელმწიფოების წინააღმდეგ და არ აღდგება საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში. შესაბამისად, სანქციები კვლავ ძალაშია და მისი მოქმედების ვადა ერთი წლით განისაზღვრება, ნაცვლად 6 თვისა, რომელიც აქამდე იყო.

ევროპარლამენტის დოკუმენტის თანახმად, პრეზიდენტ პუტინის საგარეო პოლიტიკა მკაფიოდ აგრესიული და რევანშისტულია. ის ცდილობს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგული ე.წ. „გავლენის სფეროების“ აღდგენას. პუტინის რეჟიმი უგულებელყოფს წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს, არ იცავს საერთაშორისო სამართალს, მათ შორის იმ პრინციპებს, რომლებიც ასახულია გაერო-ს წესდებაში, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტსა და 1990 წლის

ეუთო-ს პარიზის ქარტიაში. ასევე, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ რუსეთმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ათასზე მეტი გადაწყვეტილება არ აღასრულა.

ევროკავშირი მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ დღევანდელი რეჟიმი რუსეთში საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას ევროპაში ადამიანის უფლებების სისტემური, უხეშო დარღვევებით. ასევე, ის ახორციელებს აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, მათ შორის მასშტაბური სამხედრო წვრთნებით, ოკუპაციით, ანექსიითა და საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფით, დესტაბილიზაციით, კიბერშეტევების განხორციელებით, არჩევნებში ჩარევით.

დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირმა და ნატო-მ უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა უსაფრთხოების საერთო გამოწვევებთან მიმართებით. ამავდროულად, ევროკავშირი განიხილავს ევროპის თავდაცვის ძალების ჩამოყალიბების საკითხს. აღნიშნული ძალები თავის წვლილს შეიტანენ თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებასა და მშვიდობის შენარჩუნებაში. ამასთანავე, ევროკავშირმა უნდა განამტკიცოს თანამშრომლობა მისი წევრი სახელმწიფოების შესაბამის სამსახურებთან რუსეთის საზიანო მოქმედებების თავიდან ასაცილებლად და ხელი შეუწყოს იმ პროექტების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ უსაფრთხოების, მათ შორის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სათანადო უნარების განვითარებას.

ევროპარლამენტარების აზრით, თუ რუსეთის ხელისუფლება გააგრძელებს საფრთხის შექმნას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის და სამხედრო მოქმედებების განხორციელებას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების წინააღმდეგ, ევროკავშირმა უნდა მოითხოვოს რუსეთის გათიშვა საერთაშორისო საგადასახადო სისტემა SWIFT-დან და ასევე, მზად უნდა იყოს რუსეთიდან გაზისა და ნავთობის იმპორტის შესაჩერებლად.

ასევე, ევროკავშირი კვლავ მოითხოვს, რომ რუსეთის ფედერაციამ უპირობოდ შეასრულოს ევროკავშირის მედიაციით ხელმოწერილი 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობები, კერძოდ გაიყვანოს მისი სამხედრო ძალები ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვის რესპუბლიკასთან სამხედრო თანამშრომლობის საკითხზე, მათ შორის ევროპის თავდაცვის სააგენტოს მეშვეობით და მათ კიბერმედეგობის გაძლიერებაზე. ასევე, ევროკავშირი ნატო-სთან თანამშრომლობით ხელს შეუწყობს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების მეტ ჩართულობას შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

ევროკავშირი გააძლიერებს მონიტორინგსა და ანალიზს რუსეთის ჰიბრიდული დესტრუქციული მოქმედებების შესახებ, კერძოდ, დეზინფორმაციულ კამპანიებზე, კიბერშეტევებზე, შპიონაჟზე, არჩევნებში ჩარევაზე. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები განავითარებენ სათანადო ინსტრუმენტებს რუსული ჰიბრიდული საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის, შეკავებისა და მათთან გამკლავებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი გააგრძელებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების მხარდაჭერას დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ასევე, ევროკავშირი ხელს შეუწყობს ამბიციური სტრატეგიის

შემუშავებას „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ასოცირების შეთანხმება აქვთ დადებული. ეს ნიშნავს ასოცირებული ტრიოს მიერ რეფორმების განხორციელებას ევროკავშირის მიერ კვლავ ფინანსურ და ინსტიტუციურ რესურსებზე წვდომის შეთავაზებითა და მომავალში ევროკავშირში წევრობისათვის ღია კარის პოლიტიკის შენარჩუნებით.

ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ევროკავშირი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის დაცვის თვალსაზრისით, ასევე ევროინტეგრაციის კონტექსტში.

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

რუსეთის სამხედრო ინტერვენციები



მოსკოვის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება მის საზღვრებს გარეთ ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი მთავარი ტენდენცია იყო, რამაც განაპირობა რუსეთის როგორც საგარეო პოლიტიკური აქტორის შესახებ წარმოდგენების მნიშვნელოვანი ცვლილება, 2014 წელს ყირიმის ანექსიის, აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციის და 2015 წელს სირიაში ინტერვენციის შემდგომ ამერიკელი პოლიტიკოსებისათვის სიუპრისი გახდა რუსეთის უნარი და ნება გამოიყენოს სამხედრო ძალა თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისათვის.

მიუხედავად რუსეთის მცირე წილისა მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, მან მოახერხა ყველაზე მეტ სამხედრო ინტერვენციაში მიეღო მონაწილეობა აშშ-ს ყველა სხვა მეტოქესთან შედარებით.

რენდის მიერ მომზადებული ფუნდამენტური კვლევა მიმოიხილავს 25 სამხედრო ინტერვენციას რომელშიც რუსეთი 1991 წლის შემდგომ მონაწილეობდა. მასში დეტალურად არის განხილული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და სირიაში ინტერვენცია.

კვლევის ავტორები აღნიშნავენ რუსეთი დიდი ალბათობით კვლავაც მიმართავს სამხედრო ინტერვენციას თუ მისი გავლენა ახლო სამეზობლოში შესუსტებას დაიწყებს. თუ რუსეთის

მოკავშირე ქვეყნებში, როგორებიც არის სომხეთი და ბელორუსი, რუსეთისათვის რადიკალურად მიუღებელი რეჟიმები მოვლენ ხელისუფლებაში, ამან შეიძლება კვლევის ავტორების აზრით, რუსეთის მხრიდან სამხედრო ინტერვენცია გამოიწვიოს.

კვლევის ძირითად მიგნებებს წარმოადგენს შემდეგი:

- ცვლილებები პოსტ-საბჭოთა ევრაზიაში რომელთაც შეუძლიათ საგარეო საფრთხე შეუქმნან რუსეთის წარმოდგენაში რეგიონალურ ბალანსს, რომელიც რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ იცვლება, შეიძლება განხილულ იქნას როგორ რუსეთის მხრიდან სამხედრო მოქმედებების გამომწვევი მიზეზი.
- რუსეთი მეტწილად როგორც ჩანს, მტკიცედ მოქმედებს როდესაც მისი რეგიონალური გავლენების შემცირების საფრთხე დგება. რუსეთმა სამხედრო ინტერვენციას მიმართა იმ შემთხვევებში, როდესაც მისი აზრით არსებული „სტატუს-კვო“ მისი ინტერესებისათვის არა სასურველი მიმართულებით იცვლებოდა. რენდის მკვლევარების აზრით, ამერიკელმა „სტრატეგებმა“ რუსეთისათვის მნიშვნელოვანი მოსალოდნელი გეოპოლიტიკური დანაკარგები როგორც საბაზი მათი მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენებისა.
- მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ რუსეთი სწრაფ შოკებზე რეაგირებს, როგორც წესი იგი წინასწარ აგზავნის გამაფრთხილებელ გზავნილებს და აჩვენებს მზაობას სამოქმედოდ. 2008 წლის ომამდე, მკვლევართა აზრით, რუსეთმა ნათელი გახადა რომ იგი აუცილებლად იმოქმედებდა ნატოს ბუჰარესტის სამიტის შედეგების გათვალისწინებით. უკრაინასთან მიმართებაში, ასევე მკაფიოდ დაფიქსირა კრემლმა რომ მისთვის მიუღებელია კიევის პროდასავლური მისწრაფებები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ლიდერები პერიოდულად მცდარ გზავნილებს აკეთებენ, მათ რიტორიკაში ყოველთვის მკაფიოდ იკვეთება ინტერესები და რეალური სიგნალები.
- რუსეთის სამხედრო ინტერვენცია პოსტ-საბჭოთა ევრაზიის ფარგლებს მიღმა -სირიაში არ მოასწავებს ანალოგიური ინტერვენციების მაღალ ალბათობას. სირიაში კრემლის წარმატებამ შეიძლება რუსეთის ლიდერშიფი უფრო გაათამამოს მსგავსი ექსპედიციების გამეორების კუთხით, მაგრამ მიუხედავად ამისა კლავინდებურად დიდია ამდაგვარი მისიების ლოგისტიკური გამოწვევები პოსტ-საბჭოთა ევრაზიის ფარგლებს მიღმა.


აღსანიშნავია, რომ კვლევა საქართველოსთვის ძალიან ყურადსაღებ ინფორმაციას და ანალიზს შეიცავს და საჭიროებს სათანადო შესწავლას.

კვლევის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე

<https://bit.ly/3DkbJAC>

დაძაბულობა ტაივანის ირგვლივ

Taiwan's Air Defence Identification Zone



ჩინეთთან დაძაბულობა ბოლო 40 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია - ამის შესახებ ტაივანის თავდაცვის მინისტრმა, ჩიუ კუო ჩენგმა განაცხადა და ხაზი გაუსვა შემთხვევითი ინციდენტების მაღალ ალბათობას.

ჩინეთის საჰაერო ძალების გამანადგურებლებმა ბოლო დღეებში ტაივანის მიმართულებით 149 გადაფრენა განახორციელეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინურ თვითმფრინავებს საერთაშორისო საჰაერო ზონა არ დაუტოვებიათ, ტაივანის თავდაცვის ძალებმა ანტისაჰაერო სისტემა სრულ მზადყოფნაში მოიყვანეს.

ჩენგის განცხადებით, კუნძულის დასაპყრობად, რომელსაც პეკინი საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს, ჩინური შეიარაღებული ძალები 2025 წლისთვის სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის ჩატარებისთვის იქნებიან მზად.

ანალიტიკოსებმა მიიჩნივეს, რომ პეკინი სულ უფრო მეტად შემოფოთებულია იმით, რომ ტაივანის მთავრობა კუნძულს დამოუკიდებლობის ოფიციალური გამოცხადებისკენ მიიწევს და პეკინს სურს შეაკავოს ტაივანის პრეზიდენტი ცაი ინგ-ვენ ამ მიმართულებით რაიმე ნაბიჯის გადადგმისგან.

ტაივანის დასავლელმა მოკავშირეებმა ასევე შემოფოთება გამოთქვეს ჩინეთის მოქმედებების გამო.

ამასთან, აშშ -ს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თქვა, რომ მისი ჩინელი კოლეგა სი ძინპინი დათანხმდა დაიცვას "ტაივანის შეთანხმება".

როგორც ჩანს, ბაიდენი გულისხმობდა ვაშინგტონის გრძელვადიან პოლიტიკას "ერთი ჩინეთი", რომლის მიხედვითაც იგი აღიარებს ჩინეთს და არა ტაივანს.

ამასთან, ეს შეთანხმება ვაშინგტონს ასევე აძლევს საშუალებას შეინარჩუნოს "ძლიერი არაოფიციალური" ურთიერთობა ტაივანთან. აშშ დიდი ხანია იარაღს ყიდის ტაივანზე, როგორც ეს ვაშინგტონის „ტაივანთან ურთიერთობის აქტით“ არის გათვალისწინებული, რომელშიც ნათქვამია, რომ აშშ ტაივანს უნდა დაეხმაროს თავის დაცვაში.

"ერთი ჩინეთის" პოლიტიკა, რომელსაც ბაიდენი და ბატონი სი მოიხსენიებენ, არის ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების მთავარი ქვაკუთხედი, მაგრამ განსხვავდება „ერთი ჩინეთის“ პრინციპისგან, რომლის მიხედვითაც ჩინეთი ამტკიცებს, რომ ტაივანი არის „ერთი ჩინეთის“ განუყოფელი ნაწილი და უნდა გაერთიანდეს ერთ დღეს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ტაივანის საჰაერო სივრცის მასშტაბური დარღვევები ჩინეთის ავიაციის მხრიდან შესაძლოა ასევე ემსახურებოდეს ტაივანის საჰაერო თავდაცვის სისტემაში სისუსტეების გამოვლენას და მისი რეაგირების შესაძლებლობების შესწავლასაც.

სალომე ბლადაძე, „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი

თურქეთის იუსტიციის მინისტრის ვიზიტი საქართველოში



© <https://bit.ly/3As7dy3>

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგვაძემ თურქეთის იუსტიციის მინისტრს აბდულჰამიტ გიულთანს უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ აბდულჰამიტ გიულთანი საქართველოში პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. რატი ბრეგვაძემ თურქეთის იუსტიციის მინისტრს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება გააცნო: ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტი, ქვეყნის სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სახელმწიფო სერვისების შემდგომი განვითარება. შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობა განიხილეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და თურქეთის იუსტიციის სამინისტროებს შორის მჭიდრო კავშირი მრავალ სფეროში წარმატებულ პარტნიორობის საფუძველია. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. დოკუმენტი 2021-2024 წლებისთვის სამინისტროებს შორის პარტნიორობის ერთობლივ პროგრამას განსაზღვრავს. აბდულჰამიტ გიულთანმა რატი ბრეგვაძეს ინფორმაციის გაცვლისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო პარტნიორობისთვის მზაობა გამოთქვა.

ანი შანიძე, „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი

კომპანია ENKA-ს გადაწყვეტილება საქართველოსთან „ნამახვანჰესის“ მშენებლობის კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე



სტამბოლში მდებარე კომპანია ENKA Insaat-მა, რომელიც დასავლეთ საქართველოში ჰესის პროექტის მთავარი ინვესტორი იყო, 20 სექტემბერს გამოაცხეცა განცხადება, რის მიხედვითაც იგი „ნამახვანჰესის“ მშენებლობაზე დადებულ კონტრაქტს წყვეტს. ამ გადაწყვეტილების მიზეზად ხელშეკრულების დარღვევა და ფორსმაჟორი დასახელდა. რაც იმას ნიშნავს, რომ პროექტი შეჩერებულია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება გაგრძელდეს სხვა ინვესტორის მოძიების შემთხვევაში. პროექტიდან გასხვლის შესახებ ინფორმაცია ჰესის საწინააღმდეგო პროტესტის ლიდერის, ვარლამ გოლეთიანის განცხადის შემდეგ გავრცელდა. სადაც მანდ განაცხადა, რომ მოძრაობა „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ევროპის ენერგოთანამეგობრობის სამდივნოს ხელმძღვანელობით ხელისუფლებასთან მიმდინარე მედიაციის პროცესს ტოვებდა. მედიაციაციის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება საქართველოს ხელისუფლებასა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლების ეწინააღმდეგებიან ამ პროექტს. „ნამახვანჰესის“ მშენებლობის ნებართვა 16 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოშიც გაასაჩივრეს. კონტრაქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია და საქართველოს მთავრობა მორიგებას ვერ შეძლებენ, დავას საერთაშორისო არბიტრაჟში განაგრძობენ. იქიდან გამომდინარე, რომ კონტრაქტის პირობები კონფიდენციალურობის დაცვას ითვალისწინებს, სავარაუდოა, რომ

საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია ფარტო საზოგადოებისთვის არ გასაჯაროვდება.

საქართველო ინტერნეტის თავისუფლების შესახებ Freedom House-ის
2021 წლის ანგარიშში



საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-ის მიერ ინტერნეტის თავისუფლების შესახებ 22 სექტემბერს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საქართველოს ქულა, გასულ წელთან შედარებით, ერთი პუნქტით გაიზარდა და 100-ქულიან სკალაზე 77 გახდა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველო „თავისუფალი“ ქვეყნების სიაში დარჩება.

Freedom House-ის თქმით, საქართველოს ქულის ზრდისა, ორგანიზაციამ რამდენიმე ხარვეზს გაუსვა ხაზი. ერთ-ერთი იყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა. ასევე, ინტერნეტის ინფრასტრუქტურის გაფართოებაში გადადგმული ნელი ნაბიჯები და ქალი პოლიტიკოსების შევიწროება სოციალურ სივრცეში.

ანგარიში 1 წლიან პერიოდს მოიცავს, დაწყებული 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 მაისამდე. იგი შედგება სამი თვისგან: სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას (1)

ინტერნეტზე წვდომის, (2) შინაარსზე დაწესებული შეზღუდვებისა და (3) მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ჭრილში.

1. ინტერნეტზე წვდომის დაბრკოლებები

ამ კუთხით, საქართველოში არსებული მდგომარეობა 19 ქულას შეადგენს (მაქს. ქულა 25).

ანგარიში აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ინტერნეტზე წვდომის მაჩვენებელი გაიზარდა და რომ ის, ზოგადად, ხელმისაწვდომია. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ფაქტობრივად არ არსებობს გენდერული სხვაობა იმ ქართველ მომხმარებლებში, რომლებიც ინტერნეტს რეგულარულად იყენებენ, თუმცა არსებობს სხვაობა ასაკისა და გეოგრაფიის თვალსაზრისით.

ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნიკაციების კომისიას უფლებამოსილება მიენიჭა, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებში მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის სპეციალური მმართველი დანიშნოს და დასძინა, რომ კომისიამ ეს უფლებამოსილება „კავკასუს ონლაინის“ წინააღმდეგ გამოიყენა. ანგარიშში ასევე ნახსენებია ვენეციის კომისიის მოსაზრება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში 2020 წლის ივლისში შეტანილი ცვლილებების თაობაზე, რომლის თანახმადაც, ცვლილებები მმართველის დანიშვნის თაობაზე „საკუთრების უფლებასა და მედიის თავისუფლებაზე, ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე უარყოფითად აისახება“.

2. შეზღუდვები შინაარსზე

საქართველოში არსებული მდგომარეობა 31 ქულას შეადგენს (მაქს. ქულა 35). ანგარიში მიხედვით, მომხმარებლებს არ აქვთ შეზღუდვები ვებგვერდებზე წვდომაში, შინაარსის ატვირთვისა და ჩამოტვირთვაში, ან რაიმე სახის ონლაინ პლატფორმების მეშვეობით კომუნიკაციაში. გარდა ამისა, ფაქტია, რომ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ხელისუფლებას მიმართავენ ონლაინ სივრცეში არსებული რაიმე მასალის წაშლის შესახებ.

ანგარიშში ნახსენები იყო გარკვეული ლაფსუსები, მაგალითად, „არასრულწლოვანთა ინტერესების გათვალისწინებით“ მედიის რეგულირების თაობაზე „ბუნდოვანი“ კანონმდებლობის მიღება, ასევე, „სახელისუფლებო და სხვა შიდა პოლიტიკური მოთამაშეები ონლაინ შინაარსით მანიპულირების მცდელობები. თუმცა, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ 2020 წლის სექტემბერში საქართველოში Facebook-ის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ამ ტიპის საქმიანობები სოციალურ მედიაში.

3. მომხმარებელთა უფლებების დარღვევა

ამ ნაწილში, საქართველოში არსებული მდგომარეობა 26-დან 27 ქულამდე გაიზარდა, რადგან ანგარიშში მოქცეული 1 წლის განმავლობაში ონლაინ აქტივობების გამო დაკავებულთა რიცხვი 0-ის ტოლია (მაქს. ქულა 40).

Freedom House-ის თქმით, მაშინ როცა ციფრული უფლებები საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, არსებობს ეჭვები იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა სასამართლო სისტემას ამგვარი დაცვის აღსრულება. ეჭვს კი სასამართლო შეზღუდული დამოუკიდებლობა ზადებს. დოკუმენტის თანახმად, სასამართლო დამოუკიდებლობა მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევა.

ანგარიშის თანახმად, გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება ოპოზიციის წარმომადგენლებს, დამოუკიდებელ ჟურნალისტებს და საქართველოში სხვა ქვეყნებიდან დევნილ ადამიანებს უთვალთვალეს, რაც ქვეყნის მოსახლეობის პირადი ცხოვრების უფლებას საფრთხეს უქმნის.

Freedom House-მა განაცხადა, რომ ფარული მიყურადების შესახებ ახალი რეგულაცია საშუალებას აძლევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოს, აიძულოს ინტერნეტსერვისის პროვაიდერები, რომ გამოძიებასთან ითანამშრომლონ და მომხმარებელთა საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები მიაწოდონ. რისი შეუსაბამებლობის შედეგადაც ისინი ჯარიმდებიან.

ანგარიშის თანახმად, კიბერთავდასხმები საქართველოში აქტუალური საკითხი გახდა, აქვე აღნიშნულია 2020 წლის სექტემბერში ჯანდაცვის სამინისტროზე, 2020 წლის ოქტომბერში საზოგადოებრივ მაუწყებელზე და 2021 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა სამინისტროზე განხორციელებული კიბერთავდასხმების ფაქტები.